


სელოვნების ცენტრში



ნაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან, შესაბამისი სამსახურისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. საღამოზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, ვეფხვია ვეფხვაძემ, ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის - წმინდა ბერის, ალექსი სენაკელის ცხოვრებასა და ღვაწლზე ისაუბრეს. ალექსობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა, საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა, გოგონათა კვარტეტმა, ანსამბლებმა - „გოგალიამ“ და „მორდუმ“

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, წმინდა ალექსი სენაკელის დაბადებიდან 171 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებას სე-

სემინარი ჩატარდა



საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის სენაკის მუნიციპალიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მერიის სხდომათა დარბაზში, საჯარო მოხელეებისთვის სემინარი გაიმართა.

სამუშაო შეხვედრას საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის სენაკის მუნიციპალიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ვერა კალანდარიშვილი უძღვევოდა.

სემინარის მონაწილეებს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების იურისტმა, გაგა მელიქიძემ, მიაწოდა დეტალური ინ-

ფორმაცია საჯარო და კერძო სექტორებში შრომითი უფლებებისა და ზიანის ანაზღაურების ნებსების შესახებ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტმა, ნიკა კაკაშვილმა, შრომის უსაფრთხოების შესახებ ისაუბრა.

აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია.

სემინარში - „დასაქმებულთა შრომითი უფლებები“ მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მიიღეს.

განახლებულ სკვერებში

სენაკში, ვანდალური ფაქტები დაფიქსირდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მასშტაბური პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, რეაბილიტირებულ მრავალფუნქციურ რეკრეაციულ ზონაში. დაზიანებულია სკვერის ინტერიერი, დაზიანებულია სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახლადრეაბილიტირებული

შენობის ფასადი, ამორტიზირებულია პარკში არსებული გარე ტრენაჟორები. მატერიალურ ფასულობათა და კულტურის ძეგლთა განადგურება ყოველად დაუშვებელი და მიუღებელი ქმედებაა!

მოგიწოდებთ გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს, მის ინფრასტრუქტურას, კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს და ქალაქის იერსახეს!

მიმდინარე სამუშაოები

ეს კადრები, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სტიქიის შედეგად დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებს ასახავს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მონაცემებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, ჭავჭავაძისა და ჯიხას ქუჩებზე - სტიქიის ობიექტებზე იმყოფებოდა და სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. ჭავჭავაძის ქუჩაზე, ლეღე „ხაბაზეთსა“ და ცენტრალურ კოლექტორზე, მიმდინარეობს რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები, თავისი შენაკადებით; ღირებულებით - 506 000 ლარი; ჯიხას ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე, გრძელდება დაზიანებული სანიაღვრე არხე-



ბის რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები, თავისი შენაკადებით; ღირებულებით - 279 980 ლარი. სამუშაოებს შპს „კოლხიდა“ ახორციელებს. სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სტიქიის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი დასრულებულია.

ახალი მიკროავტობუსი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სასპორტო გაერთიანების სპორტსმენების დროული და კომფორტული გადაადგილებისთვის, FORD-ის მარკის ახალი მიკროავტობუსი შეიძინა. ტრანსპორტის შესაძენად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 149 650 ლარი გაიხარჯა. FORD-ის მარკის ახალი მიკროავტობუსი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, სარგებლობაში, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას გადასცა. „ჩვენი სპორტსმენების კომფორტული გადაადგილებისთვის,

2023 წლის გამოშვების, FORD-ის მარკის მიკროავტობუსი შევიძინეთ. წლების წინ შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება მწყობრიდან იყო გამოსული. დღეიდან, ჩვენს წარმატებულ სპორტსმენებს, ახალი მიკროავტობუსი მოემსახურება. სასპორტო გაერთიანების სპორტსმენებმა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, არაერთხელ ასახელეს ჩვენი ქალაქი. მათ ექნებათ ყველა პირობა შექმნილი იმისთვის, რომ იფიქრონ მხოლოდ წარმატებებზე, მათთვის ბევრი რამ კეთდება და იგეგმება. ჩვენი სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ახალგაზრდებისთვის მეტი შესაძლებლობის მიცემაა მათი განვითარების და თვითრეალიზაციის კუთხით“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.



მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

სომხური თეატრი სენაკში

21 სექტემბერს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული დრამატული თეატრის დასმა ქართულ ენაზე წარმოადგინა სპექტაკლი - „საბრალდებო დასკვნა“, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირალების“ მიხედვით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია არმენ ბაინდურიანი.

მსახიობებმა შთამბეჭდავად წარმოადგინეს ზაზა ნაკაშიძის, შოშიას, ლიმონას (დევედარიანი), ტიგრანას (გულოიანი), ისიდორეს, ჭეიშვილის, მოშიაშვილის, გამცემლიძის, ნუნუ ექიმის და სხვათა სახეები.

ციხის საკანში შეყრილი სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის დამნაშავეები დროს განვლილ ცხოვრებასა და დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე კამათში ატარებენ. სპექტაკლში ციხის დაუნერვლი კანონის

თანახმად, ყველა პატიმარი ვალდებულია, საბრალდებო დასკვნა საკნის მამასახლისს გადასცეს ნასაკითხად, რადგან პატიმრებმა უნდა იცოდნენ ვისთან სხედან და რა დანაშაულისთვის ზის მისი თანამოსაკნე.

სპექტაკლმა სენაკელი მაყურებლის მონონება დაიმსახურა. ხელოვნების მოყვარულთა წინაშე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ნოდარ დუმბაძე, როგორც დიდი ჰუმანისტი, სიკეთისა და სიყვარულის მქადაგებელი.

ქურდის მკვლელის, სახელმწიფო ქონების გამფლანგველის როლების შემსრულებელმა მსახიობებმა დაგვანახეს, რომ ყველაზე საშიში ბოროტმოქმედის სულშიც კი შეიძლება სათუთი გრძნობები იმალებოდეს.



ცხადია მაყურებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ სპექტაკლი ქართულ ენაზე დაიდგა. მაღლობა სენაკის ახალგაზრდობისაგან, მაყურებლებისგან, წარმატებები თეატრის კოლექტივს შემოქმედებით საქმიანობაში.

ც. აჟიზია

